ოქმი:**ო05. 3725365001**
თარიღი:**31/12/2025**

ოქმი N 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2025 წელი, 26 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

10:30 საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. კილაძე, გ. მდინარაძე, გ. კილაძე, ლ.მესხი, ი. დობორჯგინიძე, თ. ქავთარია, ქ. კვაჭანტირაძე, ი. ჩიკაშუა.

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გენო მორჩილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

“საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბრს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“2025 წლის 18 დეკემბრის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ მ.ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, “საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბრს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 18 დეკემბრის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე დეტალური განმარტება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული მსამსახურის უფროსმა, გენო მორჩილაძემ. მან

აღნიშნა რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროექტზე თანდართული შეთანხმების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მცირე მასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ამასთან, პროექტის განხორციელება მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შემავალი სასწავლო დაწესებულებისათვის ფინანსური რესურსების ეფექტიან და მიზნობრივ გამოყენებას. საკითხის განხილვის შედეგად კომისის წევრებმა

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა - დამტკიცების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი